ქცევის კოდექსი

წინამდებარე ქცევის კოდექსი უნდა წაიკითხოს და ხელი მოაწეროს სკოლაში დასაქმებულმა ყველა პირმა, მშობელმა და ყველა იმ პირმა, რომელსაც მოსწავლეებთან კავშირი აქვს სასკოლო პროგრამის, საქმიანობის, პრაქტიკის ან სხვა ღონისძიების ფარგლებში. პირის ხელმოწერა ადასტურებს, რომ მან გაიგო და ეთანხმება წინამდებარე ქცევის კოდექსს.

QSI თბილისის საერთაშორისო სკოლა ბავშვთა უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფისკენ მიისწრაფვის. წინამდებარე ქცევის კოდექსი ვრცელდება ყველა მასწავლებელზე, დასაქმებულზე, თანამშრომელსა და მოხალისეზე. სკოლის სახელით მოქმედი მასწავლებლების, დასაქმებულების, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მოხალისეების საზოგადოებაში და პირად ცხოვრებაში ქცევას შეუძლია იმ პირთა შთაგონება და მოტივირება, რომლებთანაც ურთიერთქმედებენ, ან პირიქით, შეუსაბამობის შემთხვევაში დიდი ზიანის მიყენება. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც ჩვენი სამუშაო გვაკისრებს. ამასთან, სკოლის საზოგადოების წევრებმა, მათ შორის მშობლებმა, უნდა იცოდნენ ქცევის კოდექსის პარამეტრების შესახებ და სკოლის საზოგადოების ფარგლებში უფროსების ბავშვებისადმი დამოკიდებულების მოლოდინის შესახებ.

- ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ საკუთარი და სხვა პირების დაუცველობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან ერთად მარტო ვმუშაობთ, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტს, რომ ამგვარი ურთიერთქმედებისას პასუხისმგებლობას ვიღებთ ფიზიკური, ემოციური და სქესობრივი საზღვრების დაცვაზე. ჩვენ არ უნდა დავუშვათ რაიმე სახის ფარული სექსუალური ხასიათის ქცევა იმ ადამიანებთან, რომლებზეც პასუხისმგებელნი ვართ. აღნიშნული მოიცავს მაცდუნებელ საუბარს ან ჟესტებს, აგრეთვე ფიზიკურ კონტაქტს, რომელიც ამ ადამიანებს უწევს ექსპლუატაციას, ავიწროვებს ან შეურაცხყოფას აყენებს. ჩვენი მიზანია ვუზრუნველყოთ უსაფრთხო გარემო ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ნებისმიერი სასკოლო ღონისძიების დროს, როგორც კამპუსში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ ასევე ვთხოვთ ოჯახებს უზრუნველყონ ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემო კერძო ღონისძიებების ორგანიზების დროს.
- ჩვენ გონივრული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ სანამ სხვა ადამიანებს, განსაკუთრებით კი ბავშვებსა და ახალგაზრდებს შევეხებით და გავითვალისწინოთ თუ როგორ იქნება აღქმული ან მიღებული ფიზიკური შეხება და იქნება თუ არა ეს მისალმების, ზრუნვის ან ზეიმის შესაბამისი გამოხატვა. სკოლის პერსონალსა და მოხალისეებს ეკრძალებათ ბავშვის ფიზიკური დასჯა.

- ბავშვებთან ფიზიკური კონტაქტი შეიძლება არასწორად იყოს განმარტებული როგორც მიმღების, ასევე იმ პირის მიერ, რომელიც თვალყურს ადევნებს ამ პროცესს და შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ ატარებს სექსუალურ ხასიათს, ვითარების შესაბამისია და არასდროს ხდება ერთმანეთის პირისპირ ყოფნის დროს. ბაშვთან ან ახალგაზრდასთან პირისპირ შეხვედრის გამართვის საუკეთესო საშუალება საზოგადოებრივი ადგილებია; იმ ოთახში, სადაც შესაძლებელია ურთიერთქმედებაზე დაკვირვება; ან ოთახში, რომლის კარი ღიაა და სხვა თანამშრომელი ან ზედამხედველი ინფორმირებულია შეხვედრის შესახებ.
- ჩვენ უნდა ჩავერიოთ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულება ან საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ბავშვებს შეურაცხყოფას აყენებენ. სკოლის და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უნდა ეცნობოს საეჭვო უხეში და დაუდევარი მოპყრობის შესახებ.
- მასწავლებლებმა, დასაქმებულებმა, თანამშრომლებმა და მოხალისეებმა თავი უნდა შეიკავონ ნარკოტიკული ნივთიერებების ან/და ალკოჰოლური სასმელების უკანონო შენახვისგან ან უკანონო გამოყენებისგან , აგრეთვე თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლური სასმელების ან/და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებისგან ბავშვებთან მუშაობის დროს. უფროსებს ეკრძალებათ ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული ნივთიერებების, თამბაქოს ნაწარმის, შუსაბამო ვიდეო ან საკითხავი მასალის ყიდვა და ახალგაზრდებისთვის გადაცემა. თანამშრომლებმა და მოხალისეებმა არ უნდა მიიღონ საჩუქრები ბავშვებისგან ან თავად გადასცენ მათ საჩუქრები მშობლებისა და მეურვეების ინფორმირების გარეშე.
- ბავშვებთან კომუნიკაცია გამჭვირვალობის ძირითადი უსაფრთხოების კონცეფციით რეგულირდება. შემდეგი ნაბიჯები შეამცირებს მშობლებს, ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, თანამშრომლებს, მოხალისეებსა და არასრულწლოვან პირებს შორის პირადი ან სხვა დაუშვებელი კომუნიკაციის რისკს:
    - აკრძალულია სკოლის სრულწლოვან (მოხალისეების ჩათვლით) და არასრულწლოვან პირთა შორის კომუნიკაცია პროფესიულ ან სამოხალისო პროგრამებში ურთიერთობის (მასწავლებლის, მწვრთნელის, მიმღები მხარის და სხვ.) ფარგლებს გარეთ.
    - ნებისმიერ შესაძლო შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კომუნიკაცია არასრულსწლოვან პირსა და სკოლის სახელით მოქმედ პირს შორის უნდა განცორციელდეს სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით.
    - მასწავლებლებს, თანამშრომლებს და მოხალისეებს, რომლებიც არასრულწლოვან პირებთან კომუნიკაციის დროს ონლაინ კომუნიკაციის ნებისმიერ ფორმას იყენებენ, მათ შორის სოციალურ მედიას (Facebook, Twitter და ა.შ.) და ტექსტურ შეტყობინებებს, ასეთი ქცევის უფლება აქვთ მხოლოდ სასკოლო ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით.

განცხადება ქცევის კოდექსის ხელმოწერით დადასტურების შესახებ

წინამდებარე განცხადებით გპირდებით, რომ დავიცავ ქცევის კოდექსის წესებსა და პრაქტიკულ რეკომენდაციებს QSI თბილისის საერთაშორისო სკოლის პროგრამებში მონაწილე ბავშვთა მიმართ .

გპირდებით, რომ მე:

- ყველას პატივისცემით, მოთმინებით, პატიოსნად, თავაზიანად, ღირსეულად და ყურადღებით მოვეპყრობი.
- სასკოლო ღონისძიებების დროს არასდროს დავრჩები მარტო ბავშვებთან და/ან ახალგაზრდებთან სხვა უფროსების ინფორმირების გარეშე.
- ბავშვებთან და/ან ახალგაზრდებთან მუშაობის დროს დადებით მხარდაჭერას გამოვიყენებ, და არა კრიტიკას, კონკურენციას თუ შედარებას.
- ნებისმიერ დროს დავიცავ შესაბამის ფიზიკურ საზღვრებს და ბავშვს მხოლოდ იმ შემთხვევაში შევეხები, როდესაც ეს ვითარების შესაბამისი და საჯაროა და არ ატარებს სექსუალურ ხასიათს.
- დავიცავ სკოლის სავალდებულო დებულებას ინფორმაციის მიწოდების შესახებ და დირექტორს ან მრჩეველს ვაცნობებ ნებისმიერი ბავშვის მიმართ საეჭვო უხეში და დაუდევარი მოპყრობის შესახებ.
- აქტიურად ვითანამშრომლებ ბავშვების და/ან ახალგაზრდების მიმართ უხეში და დაუდევარი მოპყრობის შესახებ საქმის გამოძიების დროს.
- არასათანადო ქცევის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში დავიცავ ბავშვის და ბავშვის ოჯახის კონფიდენციალურობას და სხვა პირებთან არ გავამხელ დეტალურ ინფორმაციას აღნიშნული შემთხვევის შესახებ, გარდა სკოლის ბავშვთა დაცვის ჯგუფის და შესაბამისი ორგანოებისა.

გპირდებით, რომ მე:

- არ შევეხები ან გავესაუბრები ბავშვს ან/და ახალგაზრდას რაიმე სექსუალური ხასიათის მოტივით ან სხვა არასათანადო წესით.
- არ მივაყენებ რაიმე სახის ფიზიკურ ან ემოციურ შეურაცხყოფას, როგორიცაა ბავშვების ან/და ახალგაზრდების ცემა, დარტყმა, შერყევა, დამცირება, მასხრად აგდება, დამუქრება ან ღირსების დაკნინება.
- არ მოვწევ ან გამოვიყენებ თამბაქოს ნაწარმს, არ ვიქონიებ თან და ასევე არ ვიქნები ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ბავშვებსა ან/და ახალგაზრდებთან მუშაობის დროს.
- არ მივიყვან მანქანით ბავშვს (გარდა საკუთარისა) ბავშვის მშობლისგან ან მეურვისგან პირდაპირი ნებართვის გარეშე.
- არ მივიღებ საჩუქრებს ბავშვებისგან ან თავად გადავცემ მათ საჩუქრებს მშობლებისა და მეურვეების ინფორმირების გარეშე.
- არ ჩავერთვები ბავშვებთან პირად კომუნიკაციაში ტექსტური შეტყობინებების, ელექტრონული ფოსტის, Facebook, Twitter-ის ან სხვა მსგავსი ელექტრონული ან სოციალური მედიის მეშვეობით, გარდა სასკოლო ღონისძიებების ხელშეწყობის შემთხვევებისა.
- არ განვიხილავ ნებისმიერი ბრალდების დეტალებს სხვა პირებთან გარდა სკოლის ბავშვთა დაცვის ჯგუფისა.

თანამშრომლები, მოხალისეები და სტუდენტებთან მომუშავე სხვა პირები:

ვაცნობიერებ, რომ ჩემი მონაცემები როგორც QSI თბილისის საერთაშორისო სკოლის ეგიდით ბავშვებსა და ახალგაზრდებთან მომუშავე ან/და მომსახურების მიმწოდებელი პირისა, ნასამართლეობის არსებობაზე შემოწმებას ექვემდებარება. ჩემი ხელმოწერა ადასტურებს, რომ მე წავიკითხე წინამდებარე ქცევის კოდექსი და როგორც ბავშვებსა და ახალგაზრდებთან მომუშავე პირი, თანახმა ვარ დავიცვა ეს სტანდარტები. ვაცნობიერებ, რომ წინამდებარე ქცევის კოდექსთან შეუსაბამო ქმედებამ ან ამ კოდექსით გაუთვალისწინებელი ქმედების განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური სასჯელი თანამდებობიდან განთავისუფლების ჩათვლით. თუ განცხადება ჩემს წინააღმდეგ არის შეტანილი და ბრალდებები დადასტურებულია, სკოლა ვალდებულია გამოძიების შედეგები გაუზიაროს ნებისმიერ პირს მოთხოვნისამებრ.

მშობლები:

ვაცნობიერებ სკოლაში მოქმედ სავალდებულო წესებს ინფორმაციის მიწოდების შესახებ. თანახმა ვარ ჩემს სახლში და კერძო ღონისძიებებზე ვუზრუნველყო გარემო, რომელშიც დაუშვებელია უხეში და დაუდევარი მოპყრობა ჩემი შვილების ან ნებისმიერი სხვა ბავშვების მიმართ, მათთან შესაძლო ურთიერთქმედების დროს.

სახელი და გვარი	თარიღი

* თქვენი სახელის მითითება წარმოადგენს თქვენს ხელმოწერას.